ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**g-41. 4123300001**
თარიღი:**27/10/2023**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2023-2026 წ.) დამტკიცების შესახებ

USAID-ის ინსტიტუციური განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, საკრებულოს თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეების ჩართულობით შემუშავებულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ერთიან ნარატივს, ძირითად მიმართულებებს, სამიზნე აუდიტორიებს, საკომუნიკაციო თემებსა და არხებს. დოკუმენტი ეფუძნება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზნებსა და ღირებულებებს, წარმოადგენს მათი ეფექტიანი განხორციელების ხელშემწყობის ინსტრუმენტს.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანია: მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა თვითმმართველობის განხორციელებაში, დემოკრატიულობის გაუმჯობესების მიზნით არსებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, მუდმივი მონიტორინგით განხორციელდეს მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და შეფასება.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულობის ზრდა, ასევე, მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი იდეების აქტიური ინტეგრაცია მუნიციპალური პროექტების შემუშავების პროცესში. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მხრიდან უკუკავშირის ეფექტური უზრუნველყოფა და სამოქალაქო ჯგუფებთან ახლო კომუნიკაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შესაბამისად

1.დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია თანახმად დანართი 1-ისა.

2.დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა დანართი 2-ისა.

3.სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა, საკრებულოს აპარატმა აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. სენაკი, შოთ რუსაველი ქ,№247)

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი